გიორგი ახვლედიანი - ოსური ენის მკვლევარი
Giorgi Akhvlediani - Researcher of Ossetian language

ნაირა ბეპიევი
Naira Bepievi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi state university
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
Scientific-Research Center of Georgian-Ossetian Relations

საკვანძო სიტყვები: გიორგი ახვლედიანი, ოსური ენა, ფონეტიკა.
Keywords: Giorgi Akhvlediani, Ossetian language, phonetics.

გიორგი ახვლედიანი (1887-1973) ცნობილია როგორც ქართული საენათმეცნიერო სკოლის საფუძვლისჩამყრელი. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ფონეტიკის კვლევა-ძების საქმეს. ამავე დროს, იგი იკვლევდა სხვა ენების ფონეტიკის საკითხებს. მან შეისწავლა და შეადგინა აფხაზურ ბგერათა სრული კლასიფიკაცია. ამავე დროს, იგი უნივერსიტეტში კითხულობდა ძველი ინდურის, სანსკრიტის კურსს. შექმნა სახელმძღვანელოც.

დიდია გიორგი ახვლედიანის წვლილი ირანისტიკაში. მან დიდი დრო და ენერგია შეალია ოსური ენის ფონეტიკის, დიალექტოლოგიისა და ტექსტოლოგიის პრობლემებს. ამასთანავე, მან პირველმა შეადგინა ოსური ენის სასწავლო პროგრამა და წლების განმავლობაში კითხულობდა ოსური ენის საუნივერსიტეტო კურსს. მეტად მნიშვნელოვანია მისი გამოკვლევები ფონეტიკაში (პრერუპტივები, სამი ტ ოსურში და სხვ.) მორფოლოგიაში („დატივის პრედიკატივი ოსურ ენაში“), დიალექტოლოგიაში - მან ირონული დიალექტის ქვედიალექტად, ერთ-ერთ კილოკავად მიიჩნია დვალური.

გ. ახვლედიანმა ახლებურად წარმოადგინა ქართულ-ოსური ენობრივი კონტაქტები და საფუძვლიანი წვლილი შეიტანა ამ პრობლემის დამუშავებაში. მისი წიგნი “Сборник избранных работ по осетинскому языку” დღესაც მეტად მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს.

დღესაც უაღრესად მნიშვნელოვან, ფასდაუდებელ ნაშრომს წარმოადგენს ოსური ენის გრამატიკის კურსის ორტომეული, რომელთა რედაქტორი იყო გიორგი ახვლედიანი.

ნაშრომში ფართოდ მიმოვიხილავთ გიორგი ახვლედიანის დიდ წვლილს ოსური ენის კვლევაში. ყურადღებას გავამახვილებთ ოსური ენისა და ხელნაწერების შესწავლის საკითხებზე.

ლიტერატურა:

ახვლედიანი, გ. (1960). Ахведиани, Г. Сборник избранных работ по осетинскому языку. т.1, Тбилиси

ბეპიევი, ნ. (2017). ოსური ენის ისტორია, ნაწილი I, თბილისი: უნივერსალი

ბეპიევი, ნ. (2017). ოსური ენის პრაქტიკული გრამატიკა, თბილისი: უნივერსალი, ქართულ-ოსური ურთიერთობები (ალბომი-ცნობარი), (2018), შემდგენელი და მთავარი რედაქტორი, ნაირა ბეპიევი. თბილისი: უნივერსალი

Giorgi Akhvlediani (1887-1973) is known as the founder of the Georgian language school. He put a great deal of effort into the research and study of Georgian phonetics. At the same time, he examined the phonetics of other languages. He studied and compiled a complete classification of sounds of the Abkhaz language. In addition, he taught a course in the ancient Indian language, Sanskrit, at the university. He also wrote a text-book.

Giorgi Akhvlediani's contribution to Iranistics is great. He devoted a lot of time and energy to the problems of phonetics, dialectology and textual criticism of the Ossetian language. At the same time, he was the first to design Ossetian language curriculum and for many years taught the course in the Ossetian language at the university. His research in phonetics (preruptives, three T in Ossetian, etc.), morphology ("Predicate Dative in the Ossetian Language"), dialectology is crucial - he considered the Dvalian dialect as a subdialect of the Iron dialect, as one of the local dialects.

G. Akhvlediani presented Georgian-Ossetian language contacts in a new manner and made a great contribution to solving this problem. His book "Сборник избранных работ по осетинскому языку" ("Collection of Selected Works on the Ossetian Language") is still an essential work today.

Even today, a two-volume course on the grammar of the Ossetian language, edited by Giorgi Akhvlediani, is an extremely important, invaluable work.

In the work, we will consider in detail Giorgi Akhvlediani's great contribution to the research of the Ossetian language. We will pay special attention to the study of the Ossetian language and manuscripts.

References:

Akhvlediani, G. (1960). Ахвледиани, Г. Сборник избранных работ по осетинскому языку. т.1, Тбилиси

Bepievi, N. (2017). Osuri enis istoria [History of Ossetian Language] I, Tbilisi: Universal

Bepievi. N. (2017). Osuri enis praktikuli gramatika [Practical grammar of Ossetian language] Tbilisi: Universal, Kartul-osuri urtiertobebi (albomi-tsnobari) (2018). Georgian-Ossetian Relations (Album-Reference), Compiler and Editor-in-Chief, Naira Bepiev. Tbilisi: Universal